

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის ამოცანები, დაადგინოს, რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და რა სასჯელი შეესაბამება მას და, აქედან გამომდინარე, მოხდეს სამართლებრივი პრინციპების დამკვიდრება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბოლო პერიოდში განხორციელებულმა ცვლილებებმა - მუხლების გამკაცრებამ და სხვადასხვა შესწორებებმა ვერ უზრუნველყო კონკრეტული დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლის რეალური შედეგები. ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში არსებული მუხლებიც, რომლებიც ფორმალურ ხასიათს ატარებს და არაეფექტურია, უმნიშვნელო სანქციებმა ვერ უზრუნველყვეს კონკრეტული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა და ფაქტობრივად არარსებული ნორმების კატეგორიაში გადაიყვანეს შესაბამისი მუხლები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად და გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნეს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლიანი და ადეკვატური მიდგომები და, რაც მთავარია, მასში განსაზღვრული ნორმების ეფექტური ამუშავება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებები და დამატებები ეხება ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორცაა სასჯელის შეკრების და პირობითი სასჯელების დადგენის პრინციპები, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხების ლიბერალიზაცია, პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის და პირობით ვადაზე აღრე განთავისუფლების მუხლებში ცვლილებების შეტანა, საჯარო სანქციების შემცირება და ნარკოტიკული დანაშაულის მუხლებში ნარკოტიკების დამამზადებლების, რეალიზატორის და მომხმარებელთა გამიჯვნა და სასჯელების ლიბერალიზაცია, სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისათვის, შრომის უფლებების დარღვევებისათვის სასჯელების გამკაცრება, რაც ხელს შეუწყობს მუხლების ეფექტურობის გაზრდას, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა წინააღმდეგ მუხლებში სანქციების

გამკაცრებას და, შესაბამისად პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადების გაზრდას.

პროექტში გაზიარებულია ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის ქვეყნების პრაქტიკა, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაცია და დაბეჯითებითი მოწოდება, დაუყოვნებლივ აღვადგინოთ 14 წელი, როგორც მინიმალური ასაკი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასადგენად, რომელიც გამომდინარეობდა 2007 წლის კომიტეტის №10 კომენტარიდან, რომელშიც კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებდა, არ დაეწიათ პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14-დან 12 წლამდე.

ვინაიდან სახელმწიფო საკანონმდებლო პოზიცია ახალი საპროცესო კოდექსის რედაქციაში გირაოს თანხასთან დაკავშირებით ლიბერალურია და შემცირებულია 2000 ლარიდან 1000 ლარამდე, რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე და ადეკვატური მიდგომების გათვალისწინებით პროექტში ჯარიმის მინიმალური ოდენობაც 3 წელზე ზევით დანაშაულებებზე შემცირებულია 2000-დან 1000 ლარამდე.

აქვე უარყოფილია ის პრინციპი, რომელიც რამოდენიმე წლის წინათ დაემატა კოდექსს და განისაზღვრა, რომ თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. ვინაიდან აღნიშნული არ შეესაბამებოდა მსოფლიოში არსებულ თანამედროვე სტანდარტებს და არ გამომდინარეობდა სამართლიანობის პრინციპიდან და მსოფლიო წამყვანი ქვეყნების პრაქტიკიდან, პროექტის მიხედვით დადგინდა, რომ თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია, ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს, თუ მუშაობს ან გააჩნია საკუთარი ქონება.

კანონპროექტში ლიბერალური მიდგომებია სასჯელის დანიშვნის დროს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, როდესაც დანაშაული მომზადების ან მცდელობის სტადიაზე აღიკვეთა ანუ გარკვეულ მიზეზთა გამო ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი და ჩადენილი დანაშაულის შედეგად მოქალაქეს ან სამართლებრივ სიკეთეს ზიანი არ მიაღწა, თუმცა, ითვალისწინებს დამთავრებული დანაშაულის სასჯელს. ახლებურადაა დანახული დანაშაულის მცდელობისა და მომზადებისათვის სასჯელის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის ნახევარს.

პროექტში ახლებურადაა დანახული დღევანდელი კოდექსის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა და ხარვეზი ანუ სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს და სასჯელთა მთლიანად შეკრების პრინციპი. აქედან გამომდინარე აღნიშნული მიდგომა უნდა შეიცვალოს სასჯელების მთლიანად ან ნაწილობრივი შეკრების პრინციპით.

სასამართლოს ნდობისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლების მიზნით კანონპროექტში უფრო მეტი საკანონმდებლო ნდობა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობა დაკისრებული სასამართლოებსა და მოსამართლეზე და შესაბამისი ცვლილებებია განხორციელებული პირობითი სასჯელების დადგენის კუთხით არასრულწლოვანი და სრულწლოვანი დამნაშავეების განაჩენების დადგენისას სასჯელის ნაწილში. პროექტის მიხედვით, კონკრეტული საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე

სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება, პირობითი სასჯელები გამოიყენოს არა მარტო ნაკლებად მძიმე, არამედ მძიმე კატეგორიის დანაშაულებებზე და არასრულწლოვანთა მიმართ ყველა კატეგორიის საქმეებზე.

პროექტში ასევე ცვლილებებია გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების მუხლში ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მოგეხსენებათ, რამოდენიმე წლის წინათ სამოხელეო დანაშაულებების მუხლების ხანდაზმულობის ვადა შეადგინა თხუთმეტი წელი. დანაშაულებებზე, რომლებიც 23-ე თავში გათვალისწინებული და მიმართულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ანუ 162-ე 164.3-ე მუხლები, კერძოდ: არჩევნების გაყალბება, ამომრჩევლის მოსყიდვა, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა და შედეგების არასწორად შეჯამება, ასევე ყალბი დოკუმენტების საშუალებით არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ეს მუხლები გათანაბრებულია სამოხელეო დანაშაულის იმ მუხლებთან, რომელთა ხანდაზმულობის ვადა ამაჟამად შეადგენს 15 წელს და, შესაბამისად, მუხლში განხორციელებულია ცვლილებები. დასახელებული მუხლების ღირსი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და, შესაბამისად, არჩევნების დამთავრებიდან 2 წლის გასვლის შემდეგ დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეუძლებელი ხდება, რაც კიდევ უფრო ამყარებს დაუსჯელობის სინდრომს და ქვეყნის სამართლებრივი და დემოკრატიული განვითარების პერსპექტივებს ამცირებს.

პროექტში გადახედილია მიდგომები პირობით ვადაზე სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების მუხლებთან დაკავშირებით, მათ შორის, არასრულწლოვანთა მიმართ. ამ კუთხით მეტად ლიბერალური პრინციპებია გატარებული და ესოდენ მაღალი სასჯელების მოხდა არ არის გათვალისწინებული იმაში დასარწმუნებლად, რომ პირი აღარ არის საშიში და საზოგადოებისგან იზოლაცია აღარ წარმოადგენს აუცილებლობას, მით უმეტეს, როდესაც პიროვნება თავისი ქცევებითა და დანაშაულის მონანიებით მზად არის საზოგადოებაში დასაბრუნებლად. ცვლილებები სასამართლოებს ანიჭებს უფლებას, აღნიშნული დასკვნები უფრო ადრე გამოიტანოს, ვიდრე დღევანდელი მუხლებით არის გათვალისწინებული.

გათვალისწინებულია ასევე არასრულწლოვანისადმი განსაკუთრებული მიდგომები. დღევანდელი კოდექსისგან განსხვავებით, არა მარტო უფლებამოვალეობებისა და პასუხისმგებლობის და სასჯელების საკითხებში, არამედ დაჯარიმების საკითხებშიც არასრულწლოვანი გამიჯნულია სრულწლოვანი დამნაშავესგან და, შესაბამისად, საჯარიმო თანხები განახევრებულია.

წარმოდგენილ კანონპროექტში გამიჯნულია ნარკოტიკების მომხმარებელი, რეალიზატორი და მწარმოებელი, გამიჯნულია შესაბამისი მუხლები და გაზიარებულია პრინციპები, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი ავადმყოფია, ხოლო ნარკომანია – სირცხვილი. აქედან გამომდინარე კოდექსიდან ამოღებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკის განმეორებითი მოხმარებისთვის.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებს და ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებები არის უმაღლესი ფასეულობა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემისათვის და ამ უფლებების დაცვა არა მარტო დეკლარირებულადაა

სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება. ცვლილებებში ასახულია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები, განსაკუთრებით – სიტყვის თავისუფლების დასაცავად. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე გამკაცრებულია სასჯელები სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტის პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ხელის შეშლის წინააღმდეგ მუხლებში. ასევე გამკაცრებულია და ჩადენილი დანაშაულისათვის ადეკვატური სასჯელებია დაწესებული ადამიანის დევნისათვის სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. გამკაცრებულია სანქციები შრომის უფლებების დარღვევისათვის ანუ ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების - შრომის უფლების დარღვევის წინააღმდეგ.

კანონპროექტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საარჩევნო დანაშაულებს, კერძოდ: საარჩევნო პროცესში, არჩევნებში, რეფერენდუმსა ან პლებისციტში ნების განხორციელებაში ხელის შეშლის; არჩევნების გაყალბების; ამომრჩევლის მოსყიდვის; ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის, ხმების არასწორად დათვლის ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამების; ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმსა ან პლებისციტში მონაწილეობის მიღების მუხლებში შესატან ცვლილებებს. გათვალისწინებულია ანალიზი არჩევნებთან დაკავშირებით მომხდარ დანაშაულებებთან დაკავშირებით და საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ამ მუხლების ეფექტურობას წარმოაჩენს. ავტორების აზრით, მუხლების სანქცია, რომელიც ითვალისწინებს 1 ან 2 წლით თავისუფლების აღკვეთას, ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას და დანაშაულის პრევენციას, ასევე მხედველობაში მიღებულია ის გარემოებაც, რომ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, პირის ან პირების პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 2 წელს. ანუ საარჩევნო პროცესის დამთავრებიდან 2 წლის შემდეგ შეუძლებელია პირის პასუხისმგებლობაში მიცემა. ყოველივე ამის გავითვალისწინებით თვალნათლივ ჩანს დანაშაულისათვის სასჯელის გარდუვალობის პრინციპის არარსებობა და დაწესებულია რეალური და დანაშაულის პრევენციისათვის ადეკვატური სასჯელები.

კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს რაიმე ხარჯს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
ამომპროექტის მიღება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში რაიმე ხარჯს არ გამოიწვევს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღების შემთხვევაში სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს იმ პირთათვის, რომლებზედაც გავრცელდება მისი მოქმედება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგიერთი დანაშაულისათვის დამნაშავეს სასჯელის სახით დაეკისრება ჯარიმა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახადი და მისი ოდენობა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი შესაბამისობაშია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში: კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
კანონპროექტის ავტორი არის საქართველოს პარლამენტის წევრი – გიორგი ცაგარეიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს პარლამენტის წევრი – გიორგი ცაგარეიშვილი.